შემთხვევის მართვის მეთოდის გამოყენების დროს არსებული გამოწვევები პენიტენციურ სისტემაში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქ-ნი შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ გუმბერიძე.

20.06.2022.

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია, მკითხველს ინფორმაცია მიაწოდოს პენიტენციურ სისტემაში შემთხვევის მართვის მეთოდის გამოყენების დროს არსებულ გამოწვევებზე, შესაბამისად, ნაშრომში განხილულია თუ რა ბარიერები აქვთ სოციალურ მუშაკებს სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისას, რამდენად შეესაბამება არსებული სერვისები ბენეფიციარების საჭიროებებს და შემუშავებულია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას არსებული სირთულეები მომავალში.

მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუ, ხოლო მიზნობრივ ჯგუფს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში დასაქმებული სოციალური მუშაკები წარმოადგენენ. ნაშრომში ასევე განხილულია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, მაგალითად: დანაშაულთან დაკავშირებით არსებული ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური თეორიები, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მნიშვნელობა, შემთხვევის მართვის მიდგომა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში ჩატარებული კვლევები, რომლებიც სარეაბილიტაციო პროცესებს ეხება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ შემთხვევის მართვის მეთოდის გამოყენების დროს სხვადასხვა გამოწვევა არსებობს, რომლებიც ხელს უშლის მსჯავრდებულთა ეფექტურ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ესენია: სერვისების სიმწირე, პროგრამების ერთფეროვნება, ინდივიდზე გათვლილი მოდულების არარსებობა, კადრების სიმცირე, პროფესიული გადაწვის საფრთხე, კრიმინალური სუბკულტურის გავლენა მსჯავრდებულთა მოტივაციაზე, თანამშრომელთა დამოკიდებულებები, სარეაბილიტაციო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა.

საკვანძო ტერმინები: მსჯავრდებული, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, დანაშაული

Abstract

The purpose of this paper is to inform the reader about the challenges of using the case management method in the penitentiary system, therefore, the paper discusses the barriers that social workers face in the implementation of rehabilitation programs, To what extent do the existing services meet the needs of the beneficiaries and recommendations are developed on how to eliminate the existing difficulties in the future.

A qualitative research method was used for data collection, in particular, in-depth interviews, and the target group consisted of social workers employed in a special penitentiary service. The paper also discusses various scientific literature, for example: psychological and sociological theories related to crime, the importance of re-socialization-rehabilitation, case management approach and studies conducted in the special penitentiary service related to rehabilitation processes.

The study revealed that there are various challenges in using the case management method that hinder the effective re-socialization-rehabilitation of convicts, such as: scarcity of services, monotony of programs, lack of modules designed for individuals, lack of staff, threat of professional burnout, criminal co-workers. Attitudes, Lack of adequate infrastructure to implement rehabilitation programs.

Keywords: Convict, Resocialization-Rehabilitation, Crime.

მადლობა

მადლობას ვუხდი თემის ხელმძღვანელს, ქ-ნ შორენა საძაგლიშვილს, რომელიც მეხმარებოდა ნაშრომის წერის პროცესში და მაძლევდა რეკომენდაციებს. ასევე, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე სოციალურ მუშაკებსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, რომელმაც მომცა შესაძლებლობა ჩამატარებინა კვლევა აღნიშნულ საკითხზე.